საბროკერო კომპანია
სს ლიბერთი სიქიურითიზ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის **30** სექტემბრის მდგომარეობით

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
ზოგადი ინფორმაცია	7
წარდგენის საფუძვლები	8
საანგარიშგებო ვალუტა	8
კონსოლიდაციის საფუძვლები	8
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	12
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	13
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	13
გაცემული სესხები	13
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	13
ძირითადი საშუალებები	14
მოგების გადასახადი	14
სხვა აქტივები	15
მიღებული სესხები	15
კლიენტების ანგარიშები	16
კაპიტალი	16
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	16
რისკების მართვა	17
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	17
სასამართლო დავები	17
ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულ	17
ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები	17
ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი არის:	17

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
ფასს-ის შესაბამისად მომზადებული

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საბროკერო კომპანია სს „ლიბერთი სიქიურითიზ"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ანგარიშგების შედგენისას გამოყენებულია და შერჩეულია ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკები.
- სააღრიცხვო შეფასებების გაკეთება დასაბუთებულია და ეყრდნობა წინდახედულობის პრინციპებს;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2016 წლის 30 სექტემბრის დასრულებული მესამე კვარტლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

თეიმურაზ ირემაშვილი

დირექტორი
საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ

ეკატერინე გურული

მთავარი ბუღალტერი
საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ

თარიღი: 14 ნოემბერი, 2016

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	30 სექტემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	139,557	255,336
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	8	1,631,989	1,636,493
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით (კლიენტები)	8_1	570,735	586,707
გაცემული სესხები	10	1,496,720	1,923,467
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	11	868,122	892,293
ძირითადი საშუალებები	12	19,196	9,199
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	-	-
სხვა აქტივები	14	58,242	78,708
			-
სულ აქტივები		**4,784,561**	**5,382,203**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	1,219,322	1,983,088
კლიენტების ანგარიშები	16	2,202,724	2,223,200
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	1,554	1,554
სხვა ვალდებულებები		28,346	72,724
სულ ვალდებულებები		**3,451,946**	**4,280,566**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	105,867	70,995
საემისიო კაპიტალი		77,317	77,317
აკუმულირებული სხვა სრული შემოსულობები		(78,504)	(80,409)
გაუნაწილებელი მოგება		1,139,844	1,023,246
არამაკონტროლებელი წილი		88,091	10,488
სულ კაპიტალი		**1,332,615**	**1,101,637**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**4,784,561**	**5,382,203**
		(0)	-

LIBERTY SECURITIES COMPANY JSC
LIBERTY SECURITIES
205286457

თეიმურაზ ირემაძვილი
დირექტორი

ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 14 ნოემბერი, 2016

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2016 3 კვარტალი	2015 3 კვარტალი	2016 1-3 კვარტალი	2015 1-3 კვარტალი
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	18	159,025	134,107	584,895	426,548
საპროცენტო შემოსავალი		76,913	55,490	215,669	183,060
სხვა შემოსავალი		248	211	248	211
სულ შემოსავალი		**236,186**	**189,808**	**800,812**	**609,819**
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი		(61,695)	(43,143)	(188,259)	(141,519)
ადმინისტრაციული ხარჯები		(65,944)	(67,959)	(208,786)	(195,486)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები		(12,988)	(11,859)	(35,462)	(31,004)
საპროცენტო ხარჯი		-	(713)	(625)	(5,400)
გაცემული სესხის გაუფასურება		20,763	(44,913)	(85,736)	(135,998)
კურსთაშორის სხვაობის შედეგი		(4,288)	82,646	(36,406)	37,354
სულ ხარჯები		**(124,152)**	**(85,941)**	**(555,273)**	**(472,053)**
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		**112,034**	**103,867**	**245,538**	**137,766**
მოგების გადასახადი	13	(34,749)	(15,021)	(51,341)	(26,246)
საანგარიშგებო წლის მოგება / (ზარალი)		**77,285**	**88,846**	**194,197**	**111,520**
კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება		910	-	1,906	-
სულ სრული შემოსავალი		**78,195**	**88,846**	**196,103**	**111,520**
საანგარიშგებო წლის მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:					
სათაო კომპანიის მფლობელები		44,014	87,426	116,598	125,694
არამაკონტროლებელი წილი		33,272	1,422	77,602	(14,174)
სულ სრული შემოსავალი განკუთვნილი:					
სათაო კომპანიის მფლობელები		1,139,844	87,426	1,139,844	125,694
არამაკონტროლებელი წილი		88,091	1,422	88,091	(14,174)

LIBERTY SECURITIES
205286457

თეიმურაზ ირემაშვილი
დირექტორი

ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 14 ნოემბერი, 2016

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში
პირდაპირი მეთოდი

	2016	2015
	1-3 კვარტალი	1-3 კვარტალი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაცემული თამასუქებიდან მიღებული თანხები	(467,235)	(21,746)
მიღებულ თამასუქებზე გადახდილი თანხები	-	(56,790)
კლიენტების ნეტო თანხები მიღებული/(გადახდილი)	252,999	1,808,145
დეპოზიტებზე განთავსებული თანხები	-	(8,945)
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	-	-
მიღებული სესხები	-	368,789
გადახდილი სესხები	(285,792)	(52,874)
გაცემული სესხები	(64,036)	(107,822)
კლიენტების მიერ დაბრუნებული სესხის ძირი	589,735	323,733
მიღებული/(გადახდილი) პროცენტები	234,383	125,664
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(144,207)	(106,057)
გადახდილი გადასახადები	(163,303)	(283,011)
სხვა გადახდილი თანხები	(65,829)	(59,087)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(113,285)**	**1,929,999**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(2,710)	(14,735)
შვილობილი კომპანიის აქციებში გადახდილი თანხები	-	1,000
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(2,710)**	**(13,735)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდიდან მიღებული შემოსავალი	-	400
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთა შენატანები კაპიტალში	-	(400)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**-**	**-**
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(4,288)	41,156
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	**(120,283)**	**1,957,420**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	**1,891,829**	**307,954**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის	**1,771,546**	**2,265,374**

-

COMPANY JSC LIBERTY SECURITIES
LIBERTY SECURITIES
205286457

თეიმურაზ ირემაშვილი
დირექტორი

ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

სათაო კომპანიის მფლობელთა კუთვნილი

	სააქციო კაპიტალი	საეჭისიო კაპიტალი და გამოსყიდული საკუთარი აქციები	აკუმულირებული სხვა სრული შემოსულობები	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31/12/2014	**429,274**	**-**	**3,179**	**908,988**	**1,341,441**	**9,931**	**1,351,372**
კაპიტალის ზრდა	(329,274)	(106,827)	-	-	(436,101)	-	**(436,101)**
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-		519	-	519	-	**519**
პერიოდის შედეგი	-	-		125,694	125,694	**(14,174)**	**111,520**
30/09/2015	**100,000**	**(106,827)**	**3,698**	**1,034,682**	**1,031,553**	**(4,243)**	**1,027,310**
31/12/2015	**70,995**	**77,317**	**(80,409)**	**1,023,245**	**1,091,148**	**10,488**	**1,101,637**
კაპიტალის ზრდა	34,872		-	-	34,872	-	**34,872**
ცვლილება გადაფასების რეზერვში			1,905	-	1,905	-	**1,905**
პერიოდის შედეგი				116,598	116,598	77,603	**194,201**
30/09/2016	**105,867**	**77,317**	**(78,504)**	**1,139,843**	**1,244,523**	**88,091**	**1,332,615**

LIBERTY SECURITIES COMPANY JSC LIBERTY SECURITIES
LIBERTY SECURITIES
205286457
BROKERAGE COMPANY "LIBERTY SECURITIES"

თეიმურაზ ირემაშვილი
დირექტორი

ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 14 ნოემბერი, 2016

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის ("კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიის_ სს "ლიბერთი ფაინენსი"-ს (ერთად მოხსენებული როგორც "ჯგუფი") ფინანსურ მონაცემებს.

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურითიზ დარეგისტრირდა 2009 წლის 2 სექტემბერს. მისი ფაქტიური და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, #74. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანია ასევე წარმოადგენს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრს. კომპანიის მფლობელები **2016 წლის 30 სექტემბრის** მდგომარეობით არიან:

	წილი %
სს ჰერითიჯ ჰოლდინგზი	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერძო და ინსტიტუციონალური კლიენტებისთვის საბროკერო, აქტივების მართვის და კასტოდიანური მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით. აქტივების მართვის მომსახურების ფარგლებში კომპანია საკუთარ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქტს/მიმართულებას როგორც პერსონალური, ასევე კუმულატიური პორტფელების მართვის კუთხით, მათ შორის: 1. eLoan აქტივების მართვა; 2. მაღალშემოსავლიანი ინდივიდუალური ანგარიშის სტრატეგიის (HY IAS) აქტივების მართვა. eLoan აქტივების მართვა გულისხმობს, კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრების აკუმულაციას ერთიან პორტფელში, საიდანაც ხორციელდება მოკლევადიანი სესხების გაცემა რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. აღნიშნული პლატფორმა, თანმხლები საოპერაციო მხარდაჭერის სისტემით, წარმოადგენს სს იკაპიტალის (ს/ნ: 404981338) საკუთრებას, რომელთანაც კომპანიას გაფორმებული აქვს აღნიშნული პლატფორმით სარგებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. HY IAS აქტივების მართვა გულისხმობს კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრების აკუმულაციას ერთიან პორტფელში, საიდანაც შემდგომ ხორციელდება ამ სახსრების ინვესტირება სხვადასხვა (მეტწილად საქართველოს) ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებში.

შვილობილ საწარმოებში მონაწილეობა:	**30-Sep-16**	**31-Dec-15**
სს ლიბერთი ფაინენსი	61.90%	61.90%

სს "ლიბერთი ფაინენსი" (ს/ნ: 405018813) რეგისტრირებულია 2013 წლის 19 ნოემბერს და მისი ძირითადი საქმიანობა არის ფულადი სახსრების მოზიდვა თამასუქების რეალიზაციის გზით და შემდგომ ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

3 საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

4 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებულია შვილობილი საწარმო, რომლიც წარმოადგენენ ისეთ კომპანიას, რომელშიც „ჯგუფს" ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან. ჯგუფის მიერ სხვა საწარმოს კონტროლის შეფასების დროს გაითვალისწინება ხმის უფლების არსებობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება ხდება იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირდება მაშინ, როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

როდესაც ხდება შვილობილი საწარმოს შეძენა, საწარმოთა გაერთიანებაში მონაწილე აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები შეფასებულია შეძენის თარიღისათვის შვილობილ საწარმოში მათი მიმდინარე ღირებულებით და არ გაითვალისწინება შვილობილ საწარმოში არაკონტროლირებადი წილი. ჯგუფის არაკონტროლირებადი წილი შვილობილ კომპანიაში განისაზღვრება შვილობილ კომპანიაში ჯგუფის კუთვნილი წმინდა აქტივების პროპორციულად.

გუდვილი შეფასებულია შეძენისას გადახდილი თანხის, არაკონტროლირებადი წილის და შეძენის წინ შეძენილ კომპანიაში ფლობილი წილის ღირებულებების ჯამიდან შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების ღირებულების (რომელიც შეფასებულია შეძენილი კომპანიისათვის შეძენის თარიღში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე) გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი სხვაობა ("უარყოფითი გუდვილი") აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი თავიდან შეაფასებს მიღებული აქტივების, აღიარებული ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სისრულეს და გადაამოწმებს მათი შეფასების საიმედოობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შვილობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შვილობილი კომპანიის კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ.

სათაო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც შვილობილი კომპანიისა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს მსგავს ტრანზაქციებსა და სხვა მოვლენებთან მიმართებაში გამოყენებულია ერთგვაროვანი პოლიტიკა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

5.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

კლიენტების ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ჯგუფის მიერ საინვესტიციო მიზნებისთვის ფლობილ თანხებს, რომლებიც გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

5.2 გაცემული სესხები

ჯგუფის მიერ გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო ღირებულებით, სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სესხები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს თავდაპირველი გარიგების მიხედვით კუთვნილი თანხების სრულად მიღებას.

5.3 ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში

ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღიარდება და შემდგომში წარედგინება ინვესტიციის რეალური ღირებულებით. ჩვეულებრივ, კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციის რეალური ღირებულება აღიარების მომენტში მისი შეძენის ფასის ტოლია. თუკი შეძენის ფასი განსხვავდება შეძენის მომენტში ინვესტიციის რეალური ღირებულებისაგან მაშინ ეს განსხვავება აღიარდება შემოსავლად ან ზარალად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება სხვა სრულ შემოსულობებში, თუკი ეს ინვესტიცია არ არის განკუთვნილი სავაჭროდ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალში.

5.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება ჯგუფის მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ'საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

5.5 მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება ანგარიშგების მომზადების მომენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალები გადავადდება 5 წლის ვადით.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე. გადავადებულ მოგების გადასახადში არსებული ცვლილებები აღირიცხება `მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი~-ს მუხლში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

5.6 სხვა აქტივები

ჯგუფის სხვა აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში წარედგინება ამორტიზირებული თანხით.

5.7 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სესხის მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი დანახარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პერიოდის საპროცენტო ხარჯის შეფარდება სასესხო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან იყოს უცვლელი სესხის სრულად დაფარვამდე. "საპროცენტო ხარჯი" ამ კონტექსტში მოიცავს სესხის დამტკიცებისა და გატანის საკომისიოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე ვალდებულების არსებობის პერიოდში წარმოქმნილ ნებისმიერ ხარჯს.

5.8 კლიენტების ანგარიშები

კლიენტების თანხებით შეძენილი თამასუქები, კლიენტების თანხების ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში და კლიენტებისადმი არსებული ვალდებულებები იქვითება ერთმანეთის საპირისპიროდ და ბალანსში წარედგინება ნეტო თანხით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.8 კლიენტების ანგარიშები (გაგრძელება)

კლიენტების თანხებით შეძენილი თამასუქები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ ტრანზაქციის ფასის ტოლია, და შემდგომში ბალანსში წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კლიენტების თანხების ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ ტრანზაქციის ფასის ტოლია, და შემდგომში ბალანსში წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

კლიენტებისადმი არსებული ვალდებულებები თავდაპირველად წარმოიშვება კლიენტების მიერ ჯგუფისთვის სამართავად ფულადი სახსრების გადაცემისას, შემდგომში იზრდება კლიენტების თანხების ინვესტირების შედეგად ამ ინვესტიციებზე მიღებული სარგებლით, რაც გადასახდელია კლიენტებისათვის და მცირდება კლიენტებისათვის გადახდილი თანხებით.

5.9 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

5.10 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საბროკერო საქმიანობიდან მიღებული საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როცა მომსახურება მიიღება ან გაწეულ იქნება.

5.11 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2015 წლის 30 ივნისისათვის უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა	30/09/2016	31/12/2015
აშშ დოლარი (USD)	2.3297	2.3949
ევრო (EUR)	2.6132	2.6169
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.0284	3.5492
პოლონური ზლოტი (PLN)	6.0657	6.1710

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობას სჭირდება მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გამოყენება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელთა ღირებულება სხვა მხრივ ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება. გამოყენებული შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები მუდმივი გადახედვის და ხელახლა განხილვის საგანია. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა. შემდეგ ტექსტში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეხება მომავალ მოვლენებს და აღწერილია ის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა მენეჯმენტი ამ შეფასებების გაკეთებისას და რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ არსებითი ცვლილებები გამოიწვიონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების თანხებში.

6.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას აფასებს მენეჯმენტი. შეფასება გამომდინარეობს მსგავს აქტივებზე წარსული გამოცდილებიდან. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება აქტივის მოსალოდნელი გამოყენება, მიახლოებითი ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ შეფასებებში ან მდგომარეობებში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ნორმებში ცვლილებები.

6.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად იქნას დარიცხული გადასახადები, რაც გამოიწვევს თავდაპირველად აღიარებული თანხების ცვლილებას.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	შენიშვნა	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
ნაღდი ფული სალაროში	7.1	-	-
ფული ბანკში	7.1	139,557	409,466
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		**139,557**	**409,466**

7.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით

		30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
ქართული ლარი (GEL)	7.1	52,013	354,346
ა.შ.შ. დოლარი (USD)	7.1	87,543	55,084
ევრო (EUR)	7.1	-	-
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	7.1	-	35
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		**139,557**	**409,465**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)

კლიენტების ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
ქართული ლარი (GEL)	1,429,008	1,432,485
ა.შ.შ. დოლარი (USD)	202,981	423,423
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	**1,631,989**	**1,855,908**

9 საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით

საბანკო დეპოზიტები ვალუტების მიხედვით	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
ქართული ლარი (GEL)	-	877,858
სულ საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	**-**	**877,858**

10 გაცემული სესხები

	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
1 წელზე ნაკლები	1,496,720	771,303
1-დან 3 წლამდე	-	893,100
სესხების გაუფასურების რეზერვი	-	-
	1,496,720	**1,664,403**

ჯგუფს სესხები გაცემული აქვს როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. სესხები გაცემულია ქართულ ლარში და აშშ დოლარში. წლიური საპროცენტო განაკვეთი გაცემულ სესხებზე არის 5%-120% და მათი დაფარვის ვადა განისაზღვრება ერთი თვიდან სამ წლამდე. გაცემული სესხები ძირითადად არაუზრუნველყოფილი სესხებია, თუმცა ძალიან უმნიშვნელო ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით. სესხების ჩაშლა ვალუტებისა და ვადიანობის მიხედვით იხილეთ მე-19 განმარტებით შენიშვნაში.

11 ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში

ფასიანი ქაღალდები	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
სს ლიბერთი ბანკის სუბორდინირებული სესხი	858,727	
სს საქართველოს ბანკი (BGEO)	9,394	6,525
სს საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)	-	600
WS Finanz GmbH, Berlin (Saving Global)	-	-
		-
სულ გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	**868,122**	**7,125**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

12 ძირითადი საშუალებები

2016 წელი

	კომპიუტერული ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**14684**	**14,684**
დამატებები	-	-
ნაშთი 2016 წლის 30 სექტემბრისთვის	**14,684**	**14,684**
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**(4,503)**	**(4,503)**
პერიოდის ცვეთა	(734)	**(734)**
ნაშთი 2016 წლის 30 სექტემბრისთვის	**(5,238)**	**(5,238)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**10,181**	**10,181**
ნაშთი 2016 წლის 30 სექტემბრისთვის	**9,446**	**9,446**

13 მოგების გადასახადი

	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
ძირითადი საშუალებები	-	(848)
გაცემული სესხები	-	-
სხვა აქტივები	1,554	3,342
მომავალი საგადასახადო მოგებიდან გამოქვითვადი საგადასახადო ზარალი	-	-
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	**1,554**	**2,494**

ქვემოთ განმარტებულია ბალანსის ის მუხლები, რომლებიც წარმოშობენ გადავადებულ გადასახადებს:

ძირითადი საშუალებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსი საშუალებას აძლევს კომპანიებს ძირითადი საშუალებების (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის გარდა) ღირებულება მთლიანად აღიაროს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მათი შეძენა. საგადასახადო მიზნებისათვის ჯგუფი იყენებს აღნიშნულ მეთოდს. ასევე, საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული ცვეთის მეთოდი და განაკვეთები განსხვავდება ფასს-ის ნორმებისაგან, რაც დამატებით წარმოშობს სხვაობას ძირითადი საშუალებების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის.

13 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გაცემული სესხები - ფასს-ის მიხედვით სესხების გაუფასურების რეზერვის ზრდა აღაირდება პერიოდის ხარჯებად, ხოლო საგადასახადო კუთხით უიმედო სესხები ხარჯად აღიარდება მხოლოდ გარკვეული ადმინისტრაციული და იურიდიული პროცედურების გავლის შემდეგ.

არამატერიალური აქტივები - საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული ამორტიზაციის მეთოდი განსხვავდება ფასს-ის ნორმებისაგან, რაც წარმოშობს სხვაობას არამატერიალური აქტივების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის. არამატერიალური აქტივები ჩართულია სხვა აქტივების მუხლში.

აკუმულირებული საგადასახადო ზარალი - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, დაგროვილი საგადასახადო ზარალი შესაძლებელია გამოაკლდეს დასაბეგრ მოგებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

14 სხვა აქტივები

	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
სავაჭრო მოთხოვნები	42,082	83,367
ავანსად გადახდილი გადასახადები	2,064	2,064
სხვა	12,654	23,295
სულ სხვა აქტივები	**56,800**	**108,726**

15 მიღებული სესხები

	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
1 წელზე ნაკლები	268,412	536,824
1-დან 3 წლამდე	950,910	1,901,820
	1,219,322	**2,438,644**

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისგან. სესხები მიღებულია ქართულ ლარში და აშშ დოლარში. წლიური საპროცენტო განაკვეთი მიღებულ სესხებზე არის 5%-20% და მათი დაფარვის ვადა განისაზღვრება ერთიდან სამ წლამდე. მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი. სესხების ჩაშლა ვალუტებისა და ვადიანობის მიხედვით იხილეთ მე-19 განმარტებით შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

16 კლიენტების ანგარიშები

	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	**1,631,989**	**1,855,908**
მოთხოვნები აქტივების მართვის ანგარიშებიდან		
მოთხოვნები არარეზიდენტ საბროკეროებთან	7,532	6,680
მოთხოვნები აქტივების მართვის ანგარიშებიდან	-	169,463
სულ აქტივები	**7,532**	**176,144**
ვალდებულებები აქტივების მართვის ანგარიშებიდან		
კლიენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	(1,041,601)	(1,040,684)
მოთხოვნები აქტივების მართვის ანგარიშებიდან	(1,159,556)	(815,224)
სულ ვალდებულებები	**(2,201,157)**	**(1,855,908)**
წმინდა ნაშთი პერიოდის ბოლოს	**(561,635)**	**176,144**

17 კაპიტალი

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს 362,100 ლარს. **2016** წლის **30** სექტემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელთა მთლიანი კაპიტალი შეადგენს **1,332,615** ლარს. კომპანიის მხრიდან დაკმაყოფილებულია კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა.

ჯგუფს მისი არსებობის მანძილზე არასდროს გაუცია დივიდენდი მისი პარტნიორებისათვის, ზოგადი პოლიტიკა კი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ჯგუფის სავარაუდო დივიდენდების რეინვესტირება ჯგუფის კაპიტალში თუ პარტნიორთა კრების მიერ არ იქნა მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება.

18 საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	30 სექტემბერი, 2016	30 სექტემბერი, 2015
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	142,043	117,941
სხვა შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან	16,982	16,166
	159,025	**134,107**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

19 რისკების მართვა

სს "ლიბერთი სიქიურითიზის" კლიენტების აქტივების მართვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის რისკების მართვას, მათ გამოვლენას, შეფასებას და კონტროლს. აქტივების მართვის საქმიანობისთვის დამახასიათებელია ისეთი ძირითადი რისკები, როგორიცაა საკრედიტო რისკი, სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

21 სასამართლო დავები

ჯგუფს არც ბალანსის და არც ხელმოწერის თარიღისთვის არ აქვს სასამართლო დავები.

22 ინფორმაცია კლიენტების რაოდენობასა და კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე

2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 1,579 კლიენტი.

2016 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში კლიენტების ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 258,378 ლარი 19,599,360 ცალ ფასიან ქაღალდზე.

აქედან:

დასახელება	ფას. ქაღ. რაოდენობა	ღირებულება
სს ლიბერთი ბანკის ჩვეულებრივი აქცია	6,599,357	104,820
სს საქართველოს ბანკის ჩვეულებრივი აქცია	2	74
სს "იკაპიტალის" ჩვეულებრივი აქცია	13,000,000	130,000
სს "იზიმანის" თამასუქი	1	23,484
სულ:	**19,599,360**	**258,378**

23 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოხდა ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა. ქვემოთ მოცემულია ვალუტის კურსები ბალანსის თარიღისათვის და ხელმოწერის თარიღისათვის:

ვალუტა	14/11/2016	30/09/2016	ცვლილება ზრდა/(კლება)
აშშ დოლარი (USD)	2.4899	2.3297	7%
ევრო (EUR)	2.7098	2.6132	4%
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.1472	3.0284	4%
პოლინური ზლოტი (PLN)	6.1558	6.0657	1%

სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა აღწერილია 19.2 განმარტებით შენიშვნაში.